

საქათვილო გამოცემობა

„ჯეჯილი“

7. 260

27/47

244



№ 2

სახელოვან აღამიანთა ცერვალები

— გუტენბერგი, გალილეი, კოპერნიკი

და არქიმედი —

(დაურაობული)





საქართველო კამოჰცემლობა

„ჯიჯილი“

№ 2

სახელმწან აღამიანთა

ცემონება

გუთენბერგი, გალილეი, კოპერნიკი და არქიმედი.

(დასურათებული).

31245



ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. განყ. 1-ლი სტამბა, პლეხ. № 91.

ნებადარ. მთავარლიტი № 1535. შეკვ. № 2224. დაიბ. 2000 ც.




კბე 35 წელიდა, რაც ჩემი საუმაწვილო უურნალი „ჯევილი“ ერთგულად ემსახურება ქართველ მოზარდ თაობას და აწვდის მას მისი ჭასავისათვის შეს-ივერ სულიერ საზრდოს. მაგრამ მე ვგრძნობ, ორმ უურნალს გარდა, ჩვენს სკოლას და ოჯახს ესაჭიროება საბავშვო. წიგნებიც, რომელიც უნდა შეიცავდეს ბავშის თვითგანვითარებისათვის გამოსადეგ საბუნებისმეტყველო, საგეოგრაფიო, საისტორიო, საბიოგრაფიო და სხვა სამეცნიერო მსალას, აგრეთვე ხალხურ და კაზმულ-სიტყვიერების მსატვრულ თხზულებებს. ქართულ ენაზე საბავშვო სამეცნიერო საშრომი ცოტა გვაქს და რაცა, ისიც მეტი ნაწილი საბავშვო უურნალებშია გაანეული. გერძოთ ჩემს უურნალში, მისი სანგრძლივი არსებობის განმავლობაში, დაგროვდა ცოტად თუ ბევრად მდიდარი მასალა, რომელთაგან ზოგს თუ წმინდა საურნალი ხსიათი აქვს, ზოგი ისეთია, რომ ზემოადნიშნულ მიზანს ამდენადმე მაინც გაამართლებას.

მე განვიზრახე ამგვარი მსალები ამოგვრითვა ჩემი უურნალიდან და ჩვენს საბავშვო ლიტერატურას ცალკე წიგნაკების სახით ეს ახალი სამსახური გაფუჭილ. ეს მოვალეობა მძიმეა და მის პირნათლათ მისაღწევად მე მოვიწვიე ჩემი უურნალის თანამშრომელი, შევადგინე ჯგუფი და მათი დახმარებით ვაწარმოებთ „ჯევილის“ უფერი წლის კომიტეტების განხილვას, იქნიან საბავშვო წიგნა გებისათვის გამოსადეგი მასალის ამოგვრევას და შინაარსის მიხედვით მათი სერიებად განაწილებას.

ჯერჯერობით გამოვეცით „ბუნების“ სერიის პირველი წიგნი — „ცხოველების გამჭრიახობა“ და „სახელოგინ ადამიანთა ცხოვრების“ — სერიის პირველი წიგნა არ გამოიწვია: გუტენბერგი, გალილეი, გლორიენტი და არქიმედი.

ვუთა კრიბთ „ჯევილის“ ეს ახალი გამოცემები სასარგებლო და გამოსადეგი იქნება ჩვენი სკოლისა და ოჯახისათვის, რითაც ჩვენი საბავშვო წიგნსაცავი, ომელიც ჯერჯერობით კიდევ საგრძნობლად ღარიბია, შეივსება და თანდათან გამდიდრდება.

ანასტასია თუმანიშვილი — წერეთლისა.



იოჰან გუტენბერგი.

ველა თქვენგანს აქვს, ბავშებო, რამდენიმე რჩეული, საინტერესო წიგნი, რომელიც თითქმის იმდენათვე საყვარელია თქვენთვის, რამდენათაც კარგი ამხანაგი და მეგობარი.

ზოგ თქვენგანს თავისი საკუთარი ბიბლიოთეკაც (წიგნარი) აქვს სახლში. ასეთი ბიბლიოთეკის შესაძენათ ჩვენს ღრმაში საკუთარისია ორმოცი, ორმოცდაათი მანეთი ფული.

ძველათ კი, ამ ხუთი საუკუნის წინათ, ერთი კარგი წიგნის შეძენაც ჩვენთვის წარმოუდგენელ სიმდიდრეს მოითხოვდა.

წიგნის ისტორიიდან ვიცით ასეთი შემთხვევა: წიგნის მოყვარულ ერთ დიდ კაცს უნდოდა ხაკუთარი სასახლე შეეძინა, მაგრამ საამისო ფული არ ქონდა. იძულებული გახდა ერთ-ერთ თავის ძირფას წიგნს შელეოდა და მართლაც გაყიდა ერთი წიგნი, რომლის ფასით შეიძინა მშვენიერი სასახლე ფლორენციის (იტალიის ერთი ქალაქია) მახლობლათ.

ხოლო ამ წიგნის მყიდველმაც თავისი მამულის ერთი ნაწილი გაყიდა, რომ იმაში აღებული ფულით შესძლებოდა იმ ერთი წიგნის შეძენა.

იმ დროს წიგნები ასეთ საარაკო ფასებში იმიტომ იყიდებოდა, რომ წიგნის ბეჭედა ჯერ არ იყო გამოგონებული: ყველა წიგნები მხოლოდ ხელ-ნაწერი იშოვებოდა.

ადვილი გასაგებია, თუ რამდენად ძნელი იქნებოდა და რა დიდ დროს მოითხოვდა თითოეული წიგნის გადაწერა. ერთი წიგნი ხში-

რად მთელ წელიწადს უნდა ეწერა თვით დახელოვნებულ გადა-
მწერსაც კი.

მწიგნობრობა იქ დროს მხოლოდ დიდკაცობაში და სამღ-
ვდელო პირებში იყო გავრცელებული. ამიტომაც ამ საქმეს უფრო
ხშირად სამღვდელოება და მონასტრის ბერები ეწეოდენ.

ძველი ქართული წიგნებიც ამ ნაირათ იწერებოდა, უმეტეს ნა-
წილათ ქართულ მონასტრებში.

როგორც ჩვენ დრომდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერ წიგნე-
ბიდან სჩანს, ყველა ასეთი წიგნი დიდის ხელოვნებით იყო დაწე-
რილი: მეტად ლამაზი, გარჩეული ხელით, სუფთად და სრულის
სისწორით.

ტფილისის უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში და მუზეუმებში ბე-
ვრია დღეს ხელნაწერი ქართული წიგნები. ყველა მათგანი ფერ-
უცვლელათ და ლამაზათ შენახულა ჩვენ დრომდე.

ზოგი ძველი წიგნი საარაკო სიდიდის მოდიოდა. ძნელი წარ-
მოსადგენია, თუ რა დიდი შრომა, რამდენად იშვიათი მოთმინება
და საქმის სიყვარული უნდა დასჭირებოდა თითოეული ასეთი წიგნის
გადაწერას!

განსაკუთრებით განვითარდა წიგნების გადაწერის საქმე რო-
გორც ევროპაში, ისე ჩვენშიც მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს და
მეხუთმეტის დასაწყისს.

წიგნების გადაწერის გარდა ამ ხანებში ნახატების ხეზე ამო-
ჭრაც ძალიან გავრცელდა ევროპაში. ნახატს ამოჭრიდენ მაგარი ხის
ბელტოზე, ქვემოთ შესაფერ განმარტებასაც მიუწერდენ ისევე ამო-
ჭრილი ასოებით, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან თითო-
ეული ასო ცალ-ცალკე უნდა იმოეჭრათ. შემდეგ დაიწყეს ასეთი
სურათების ქაღალდზე გადატანა: ამოჭრილ ნახატს წაუსვამდენ
საღებავს, დადებდენ ქაღალდზე და დააწვებოდენ, სანამ ნახატი ქა-
ღალდზე ნათლათ არ დააჩნდებოდა.

შესაძლებელია ამ შემთხვევაში გამოიყენეს უბრალო ბეჭდის
დაკვირვება: ქაღალდზე და წერილზე დასაკრავი ბეჭედი უხსოვარი
დროიდან იყო გავრცელებული თითქმის ყველა ქვეყნებში.

ასე იყო, თუ ისე, ხეზე ნახატების ამოჭრამ და მერე ქაღალდზე
გადატანამ საკმარისათ მოუმზადა ნიაღაგი წიგნის ბეჭედის მიგნებას.

ამ დიდი საქმის გამოგონება ბედმა არგუნა ერთ გერმანელს იოპან გუტენბერგს. სამწუხაროთ ისტორიაში დანამდვილებით არ იცის რომელ წელში დაიბადა ეს დიდებული კაცი. ნამდვილად იციან მხოლოდ, რომ ეს მოხდა მე-**XV** საუკუნის დასაწყისს, არა უგვიანეს 1410 წლისა.

გუტენბერგი დაიბადა ქ. მაინცში, გერმანიის ერთ ძველ ქალაქ-თაგანში. მისი მშობლები აზნაურის გვარისანი იყვნენ. გუტენბერგის დედა უკანასკვნელი ერთად-ერთი წევრი იყო თავისი გვარში. მას არ უნდოდა ეს გვარი მოსპობილიყო და ამის გამო თავის უმცროსი ვაჟი იოპანი საკუთარი გვარით მონათლა. ამნაირათ გუტენბერგი დედის გვარს ატარებდა და ეს გვარი უკვდავ-ჰყო მან მთელი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში.

ბავშობა გუტენბერგმა მაინცში გაატარა და იქ მიიღო პირველ-დაწყებითი სწავლა.

საცარია, რომ ისტორიაში თითქმის არაფერი იცის ამ შესანიშნავი პირის ბავშობის და კერძო ცხოვრების შესახებ. არც ის იცის, თუ რა სწავლა ჰქონდა მიღებული გუტენბერგს.

იციან რომ მოწიფეულობაში გუტენბერგი თავის მშობლებთან ერთად მაინციდან ქალ. სტრასბურგს გადასახლდა მთავრობის განკარგულებით.

სტრასბურგიდან ის გერმგზავრა ევროპის სხვა და სხვა ქალაქების მოსავლელათ და ცნობილი პირების სანახვათ.

დაათვალიერა დიდებული რეინის საუცხოვო ნაბირები, დაიარა გერმანია, შვეიცარია, პოლონეთია. დიდი ხანი დაჲყო პოლონეთის ერთ ქალაქს ჰარლემში. აქ ყოფნის დროს გადაწყვიტა მან ეფიქრნა და ეზრუნა წიგნის ბეჭვდის გამოგონებაზე. მართლაც აქ მან დად ხანს იმუშავა ამ საქმეზე.

ჰარლემიდან დაბრუნდა სტრასბურგს და აქ დიდის ბეჭითობით დაიწყო მუშაობა; რამდენიმე თვე თავ-აულებლივ შრომობდა: თლიდა, სჭრიდა, ხერხავდა სხვა და სხვა მასალას, მუდამ ფიქრობდა და ზრუნავდა ამ საქმეზე.

დიდი ხნის ცდისა და გამოკვლევის შემდეგ, ის დარწმუნდა, რომ წიგნის ბეჭვდა მხოლოდ მოძრავი ასოების საშვალებით შეიძლებოდა.

ამის შემდეგ გამოჭრა მაგარი ხისაგან მრავალი მოძრავი ასო-
ები, შეაღვინა სიტყვები, წინადადებები და გადაბეჭდა ქილალდზე.
ამ პირველმა ცდამ დაარწმუნა, რომ წიგნის ბეჭვდა უკვე მი-
გნებული იყო.



ამ ცდამ ისიც დაანიხვა, რომ ხის ასოების ნაცვლად საჭირო
იყო ლითონის ასოების გამოჭრა ან ჩამოსხმა, რასაც დიდი მუშა-
ობა და ფულის ხარჯი სჭირდებოდა, გუტენბერგს ხომ თავის ნიჭისა
და ენერგიის გარდა არაფერო გააჩნდა. თან ეს საქმე საიდუმლოთ
უნდა შეენახა, რომ ვინმე ბოროტ კაცს არ მიეთვისებინა მისი გამო-
გონება.

ამას გარდა მაშინდელი მთავრობა და შეუგნებელი, ბნელი
საზოგადოება დიდის ეჭვით უყურებდა ყოველ ახალ აზრს და ახალ
გამოგონებას — ხშირათ ასეთ გამომგონს კუდიანობასაც სწამებდენ,
ატუსალებდენ და ზოგჯერ სიკვდილითაც სჯიდენ.

გუტენბერგზედაც ერთ დროს ეჭვი მიიტანეს — კუდიანი უნდა
იყოსო.

ასეთმა გარემოებამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო გამომგონი.

ბოლოს გადაწყვიტა ერთ ხანს აღარ ემუშავნა თავის საყვარელ საქმეზე და სხვა რამესათვის მიეყო ხელი.

შეუგნებელი საზოგადოება სასირცხოდ სთვლიდა, როცა ვინმე აზნაურთაგანი უბრალო სამუშაოს მოჰკიდებდა ხელს. გუტენბერგმა დაპგმო ასეთი შეხედულება და გატაცებით შეუდგა მუშაობას დაბალი ხალხის მუშებთან ერთად. ის თავდავიწყებით მუშაობდა იმ ხალხთან, რომლის გონებრივი და სულიერი წარმატებისათვის ასეთ ნაყოფიერ ნიადაგს ამზადებდა თავისი დიალი გამოგონებით.

მაგრამ მუდამ ხომ ვერ იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში. დრო იყო დაბრუნებოდა თავის გამოგონებას.

მისი გაჭირვება კი ამ დროს იქამდის მივიღა, რომ თავშესაფარი არსად ქონდა, არა თუ სახელესნოს გასამართო აღაგი.

დიდი ძებნისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, მიაგნო ერთი ძველი მონასტრის ნანგრევი ქალაქ გარეთ; იქ მონახა ერთ შორეულ კუთხეში პატაწა, ნახევრათ დანგრეული საკანი და შიგ გამართა თავისი პირველი სახელოსნო. დიდი შიშით და სიფრთხილით დაიწყო ამ მიყრუებულ ნანგრევებში მუშაობა: იმზადებდა ლითონის ასოებს და სხვა საჭირო ხელსაწყოებს.

აქვე მოათავა დიდი ხნიდან გამოწყობილი საუცხოვო საბეჭდავი დაზგა, რომელიც ძალიან წააგავდა ჩევნს დროში ხმარებულ საბეჭდავ დაზგებს.

აქვე ძალიან კარგად დაბეჭდა რამდენიმე წიგნი. მაგრამ ყველა ეს ხომ ვერ დააკმაყოფილებდა მის წყურების საქმის ფართეთ მოწყობისას.

ნამდვილი სტამბის გასამართავად საჭირო იყო დიდი ფული, მომხმარე ამხანაგები და სხვა.

ასეთი მომგებიანი და სასარგებლო საქმისათვის, როგორიც იყო გუტენბერგის გამოგონება, ფულიანი ამხანაგი აღვილათ იშოვებოდა.

მალე რამდენიმე ამხანაგი გამოუჩნდა, მუშაობაც თითქოს გაჩალდა; მაგრამ ამხანაგები მეტად ანგარი და ცულლუტები აღმოჩნდენ: ჯერ მოინდომეს მისი გამოგონების სახელის მითვისება და ეს რომ ველარ მოახერხეს, მითვისეს სტამბის მთელი მოწყობილობა, ე. ი. ყველაფერი, რაც გუტენბერგის ქონებას შეადგენდა და რა-

ზედაც ამდენი შრომა ქონდა გაწეული. ბოლოს სასამართლოში უჩივლეს, იქაც ფლიდი მსაჯულები მოისყიდეს, წართმეული ქონება სასამართლოს განაჩენითაც დაისაკუთრეს და გუტენბერგი დასტოვეს ხელ-ცარიელი.

გალატაკებული, უსახლკაროთ და ულუკმაპუროთ დარჩენილი, ის სტრასბურგიდან ქ. მაინც გადავიდა.

აქ ერთხელ კიდევ სცადა ბედი და შეუდგა საყვარელი საქმის განახლებას.

მაგრამ ფულიანი ამხანაგის აყვანა ხომ აქაც აუცილებელი იყო.

ამაოდ ცდილობდა საჭყალი გუტენბერგი იეცლინა უწინდელი უსიამოვნება: შეუგნებელი და ანგარებით შეპყრობილი ვაჭრები აქაც ისეთივე უსინიღისონი აღმოჩნდენ; გამეორდა იგივე, რაც სტრასბურგში გადახდა: ხელახლა გაცარცვეს, გააღატაკეს და მშიერ-მწყურვალი ქუჩაში გაუშვეს.

უკვე მოხუცებული, ღონე-მიხდილი და იმედ-დაკარგული, იგი სიმშილით უნდა მომკვდარიყო ქუჩაში, რომ ამ დროს პატრონათ არ გამოსხენოდა ერთი იქაური მთავარი, აღმრეხტ ნოსსაუელი.

ამ კეთილი კაცის სახლში გაატარა უკანასკნელი დღენი მრავალტანჯულმა, უმადური და შეუგნებელი საზოგადოებისაგან უზომოთ დასჯილმა დიდებულმა პირმა; აქვე გარდაიცვალა 69 წლის ხნოვანებაში.

ასეთი იყო იმ კაცის ცხოვრება, რომელმაც თავისი გამოგონებით ცველასათვის ხელმისაწვდომი გახადა წარსულის და აშშყოდროის კაცობრიობის კულტურა მთელის მისის საგანძურით; გუტენბერგის გამოგონებით მოისპო საუკუნეთა სიშორე; ნაბეჭდი მწიგნობრობის წყალობით ერთმანეთს დაუახლოვდა მთელი დედა-მიწის კაცობრიობა; ცოდნა და აზროვნება საერთო კუთვნილებათ გადაიქცა: წიგნმა გააერთიანა მთელი ქვეყნის მცხოვრებნი, მისცა მათ განვითარების და წინსვლის იარაღი.

თვითონ გუტენბერგი კი იმის ღირსიც ვერ გახდა, რომ მის დროს დაწყებულიყო ნაბეჭდი წიგნის გავრცელება.

ასეთია უმეტეს შემთხვევაში რჩეულ ადამიანთა ბედი!

ნაბეჭდი წიგნების გავრცელების საქმემ მხოლოდ გუტენბერგის გარდაცვალების შემდეგ მოიკიდა ფეხი და სწრაფად გავრცელდა ევ-

როპაში: გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, პოლონანდიის დედაქალაქებში ზედი-ზედ გაჩნდა სტამბა და დაიბეჭდა მრავალი წიგნი.

იმ დროს ჩვენ ქვეყანას დიდი გაჭირვება ადგა ოსმალ-სპარსელებისაგან: საქართველო აკლებული იყო, საუკეთესო ქართველები ზოგი მტრისგან იყო განდევნილი, ზოგი თავის ნებით წასული, რაცი სამშობლოში ყოფნა დიდ უბედურებას უქადა თითოეულ მათგანს. ევროპასთან საქართველოს დაახლოებას ხელს უშლადა ოსმალეთის მოსამზღვრეობა: ოსმალეთი ხომ საქართველოსა და ევროპის შუა მდებარეობს.

ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობით აიხსნება ის გარემობა, რომ საქართველოში—ამ მწიგნობრობის მიმდევარ ქვეყანაში—წიგნის ბეჭვდა შედარებით ძალიან გვიან შემოვიდა — მხოლოდ მე-XVII საუკუნეში.

პირველი ქართული სტამბა საქართველოზე აღრე უცხოეთში გაიხსნა, სადაც მოღვაწობდენ საქართველოდან დევნილი განათლებული პირები.

პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა 1625 წელს ქალაქ რომში. ეს წიგნი ლოცვანი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ იქვე გამოიცა რამდენიმე ქართული წიგნი: ქართ. ანგანი, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, გრამატიკა და სხვა.

ამ ხანებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშიაც გახსნეს გადახვე-წილმა ქართველებმა ქართ. სტამბა. მოსკოვში მყოფმა საქართ. მეფემ არჩილმა, დიდი შრომისა და მეცადინობის შემდეგ, მოსკოვში გახსნა ქართ. სტამბა, სადაც რამდენიმე წიგნი გამოსცა.

ამავე ხანებში მღვდელმთავარმა ანთიმოზ ივერიელმა ვლახეთში გახსნა მესამე ქართ. სტამბა. ანთიმოზმა, გარდა ქართ. ენისა, კარგათ იცოდა რამდენიმე უცხო ენაც; იგი ცნობილი იყო როგორც კარგი მწიგნობარი. მან დიდი ლვაწლი დასღო ქართული სტამბების შექმნას და წიგნების გავრცელების საქმეს. მანვე ჩამოასხა ვლახეთში ქართული ასოები, დაამზადა საბეჭდავი დაზგა და სტამბისათვის ყველა საჭირო ხელსაწყოები, გაწვრთნა ქართველი ასოთამწყობნი და ყველა ეს გამოგზავნა საქართველოში, სადაც ამ დროს მწიგნობრობის საქმეზე იღვწოდა მეფე ვახტანგ მე-VI დიდად განვითარებული მწერალი, მარჯვე და ენერგიული მოღვაწე.


ამ ნაირათ ანთომოზ ივერიელის და მეფე ვახტანგ მე-VI ღვაწლით გაიხსნა ტფილისში პირველი ქართული სტამბა 1709 წელს.

სტამბა მოთავსებული იყო მეტეხის ეკლესიასთან, იმას განაგებდა ნიკოლოზ ორბელიანი.

ამ სტამბაში პირველად დაიბეჭდა სახარება.

აქვე დაიბეჭდა პირველად შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყალსანი“ 1712 წელს.

6. შარაშიძისა.





განილება.



ოდესაც ნაღველი გულს მომაწვება, სევდა
შემიპყრობს, ბოროტება სიმართლეს დასძ-
ლევს, აღარსაიდან სინათლე არ ჩანს, მაშინ
თვალთა წინ წარმომიდგება სიმართლისათვის
მებრძოლი—საოცარი სურათი მძლავრი მო-
ხუცისა.

წარმომიდგება დიდი დარბაზი, ხალხით გავსილი, პირქუში ბე-
რები შავათ მოსილნი, მაღლა ტახტზე დინჯათ მჯდომარე პაპი, ალის-
ფერებში. მის გარშემო მოისმის პირმოთნე ბუტბუტით ლოცვა-
დიდება.

ჭმიდანი ძმები ლვთის სახელით საპართალს სჭრიან, ანდერძს უგებენ.

ფანჯრებიდან უხვათ აშუქებს მზე და მხიარულებას ჰყენს გარ-
შემო, ბერებს, ხალხს...

უბრალო ტანისამოსით, ჯაჭვით შებოჭილი, დგას მაღალი ტა-
ნის მოხუცი პაპის წინაშე.

მთლიათ დატანჯული მწვავე კითხვებით და წამებული, თვალებ
ჩაბნელებული, მთრთოლვარე მუხლებით. მას მსაჯულები თვალში არ
მოსდის.

გარშემო სუფევს სიჩუმე, დუმილი...

პაპმა ტახტიდან ხელით ანიშნა. მოხუცი ახლოს მოჰყავთ და
მუხლს აღრეკინებენ. ხელში აძლევენ რაღაც სიგელსა, მოხუციც
კითხულობს მიბნედილი ხმით.

— უარს კუთხ ბოროტი სულის ჩაგონებასა. სწავლა ჩემი შე-
მიჩვენებია და იმას, რომ დედა-მიწა ტრიალებს მზის გარშემო, ხალხს
ტყუილათ ვუქადაგებდი. ახლა ეს მიმაჩნია დანაშაულათ და აქ მთელი
ხალხის წინ დიდათ ვინანებ და მდაბლათ ვითხოვ პატიებასა.

ამის შემდეგ მზე მიეფარა, დარბაზი სიბნელემ მოიცვა, წყვდია-
ლი გამეფლა.

პაპმა ხალხი აკურთხა, მიატოვა ტახტი და გაემართა განსაცხ-
რომელათ.

აკანკალებული ხელებიდან მოხუცს სიგელი გავარდა, დაბარ-
ბაცდა, მაგრამ ბერებმა შეიკავეს, რომ არ წაქცეულიყო.

დარაჯმა მოხუცს ბორკილი ახსნა. ის უსიცოცხლოთ დედამიწას
ჩასცეროდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

ფარული სიბოროტით, მაგრამ თავდაბლათ, მიუახლოვდა მას
ბერი და მწარე დაცინვით მოახსენა:

— დიდ მაღლობას მოგიძლვით, გალილეი, რომ უარჲყავი შე-
ნი სწავლა-მოძღვრება, დასტოვე მზე და დედა-მიწა და სასიხარუ-
ლოთ ჩვენი და ეკლესიისა, შეხედე ქრისტეს...

წინ წაიწია... თვალებ ანთებულმა შეჰყვირა დიდმა მოხუცმა:

— მაინც ტრიალებს!

•
ისევ განათდა დარბაზი, მზემ მოჰყინა სხივები. ხალხი შეინ-
რა და ხმათ ჰყო.....

/ ა6. შერეთლისა.

გალილეი.



იდი ხნის ამბავი მინდა გიამბოთ. მას უკან სამი საუკუნეა გასული. ეს ამბავი მოხდა იტალიაში. ტოსკანის მშვენიერ სატახტო ქალქ ფლორენციაში, ერთ მივარდნილ, პატარა, მყუდროთ მდგომ სახლში, ფანჯარასთან იჯდა კარგი სახის ახალგაზდა დედაკაცი და რაღასაც ჰყერავდა.

ქალს ეტყობოდა, რომ ხელსაქმეს აგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა. წამ-და-უწუმ იცქირებოდა ოთახის კუთხისაკენ, სადაც იჯდა თორმეტი წლის ყმაწვილი. ყმაწვილს წინ, მაგიდაზედ, ეყარა არეულ-დარეული წიგნები, ნოტები, სურათები, მაგრამ იმის ყურადღება სულ სხვა რამეზე იყო მიქცეული: საოცარის ცნობის-მოყვარეობით თვალს ადვენებდა კედლის საათის ენას, რომლის ერთგვარი ხმაურობა — „ტიკ-ტაკ“ სევდას აუშლიდა აღამიანს.

— რატომ არას აკეთებ, გალილეო? — ჰყითხა ქალმა.

ყმაწვილმა არა უპასუხა რა, ვერც კი გაიგო, რასა ჰყითხავდნენ.

— მამა შენი რომ მოვა, ხომ გვითხავს, რა გააკეთეო, — მერე რას უპასუხებ?

ყმაწვილი ერთ წამს გონს მოვიდა მამის სსენებაზე. საჩქაროდ აიღო წიგნი და დაიწყო ფურცლების შლა, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ დაანება თავი და ისევ დააშტერდა საათს.

ქალმა საყვედურის ნიშნად თავი გაიქნია.

— შვილო, გალილეო! ნეტა რა, ნახე მაგ საათში, რომ თვალს აღარ აშორებდე? შენ იმას იზამ, რომ ჩამომალებინებ მანდედან მაგ საათს. ტყულად სწავლას გიშლის.

ამ მუქარამ ყმაწვილი გამოაფხიზლა.

— არა, დედილო, დაანებე თავი, ეს საათი ხომ არავის უშლის, — მუდარით უთხრა შვილმა: — ნუ ჩამოალებინებ, მე ამას იქით ბეჯითი ვიქნები, დავისწავლი ყველა გაკვეთილებს, ოლონდ კი დაანებე თავი მაგ საათს.

ამ დროს უცებ კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ერთი მაღალ-მაღალი კაცი. იმის მოლრუბლულ, სევდიან სახეს ალექსიანი ლიმილი დაეტყო, როდესაც ქალმა ხელსაჭმე იქით გადასდო ქმრის დანახვაზე და საჩქაროდ მიეგება. ყმაწვილიც წამოხტა და გადაყნება.

— აბა, გალილეო, დაისწავლე შეჩი გაკვეთილები? გაათავე ის სურათი, რომელსაც ორი თვეს ხატავ, თუ უფრო სთხუპნი? დაუკარი ერთი ორჯერ მაინც ჩემი დაწერილი ნოტები?

ამ სასტიკ კითხვაზე ყმაწვილმა შიშით შეხედა მამას, მერე მუდარებით გადაპხედა დედას, თითქოს შველას სთხოვდა.

— რატომ ხმას არ იღებ? დღესაც არ გისწავლია რა? დღესაც, როგორც მუდამ, ყველაფერს თავის ტკივილს დააბრალებ? ამ ბოლოს დროს გატყობ, რომ ძალიან გაზარმაცდი, ბეჯითი ყმაწვილი აღარა ხარ!

— დაანებე ბავშვს თავი, ვიჩენცო,—გამოესარჩლა დედა—დაიჯერე, რომ ყმაწვილი ადგილიდან არ დაძრულა.

— ვიცი, რომ იჯდებოდა ერთ ადგილას; ხომ არ ვამბობ, რომ ცელქობს; მაგრამ რა გამოვა მარტო ჯდომით! წიგნები წინ უწყვია და არას კი აკეთებს. მე ვხედავ, რომ ჩემი დარიგება, ჩემი მეცადინეობა, რომ ისწავლოს რამე, ფუჭად რჩება. გალილეომ დაივიწყა ისიც, რაც პირველ-დასაშუალებრივი სკოლაში ისწავლა. სურათებს კი არა ხატავს—თხუპნის; კაცს გულს გადაულევს. მოთმინებიდან გამოვედი, მომბეზრდა მაგისი ყურება, ხვალვე გალილეოს მონასტერში მივცემ; დე, ბერებმა გაწროვნან.

სთქვა ეს თუ არა, მამამ სასტიკად გადაპხედა შვილს და გავიდა ოთახიდან. საბრალო დედა დაფიქრდა. პატარა გალილეო კი მამის მუქარამ თითქოს კიდეც გაახარა.

მთელი დღე და ღამე საბრალო დედაშ ტირილში გაატარა, ემუდარებოდა ქმარს, შვილს მონასტერში ნუ მისცემო. ამაოდ არწმუნებდა, რომ გალილეო სუსტი აგებულებისა და მონასტერში მისაცემად ჯერ ყმაწვილიაო, ვიჩენცომ მაინც თავისი სიტყვა აასრულა და მეორე დილით, თავის ფეხით, წაიყვანა შვილი მონასტერში და ჩააბარა ბერებს.

პატარა სახლი უბავშოთ მიყრუვდა, დაცარიელდა, ხმაურობა აღარავისი ისმოდა. წიგნები, სურათები და ნოტები აღარ ეყარა არევ-დარეული გალილეოს მაგიდაზე, მხოლოდ კედლის საათი და ამ საათის მოუღალავი, მოტიკტიკე ენა, რომელსაც ყმაწვილი ხშირად აშტერდებოდა, მოაგონებდა ეხლა ნაღვლიან დედას თავის პირშობს.

II

მონასტერში დიდი წარმატებით მიღიოდა ყმაწვილის სწავლა; დედ მამის სასიხარულოდ გალილეომ საოცარი ნიჭი გამოიჩინა და მონასტერში ყველას საყვარელი და საქები გახდა. ბერებმა მოიწა-ლინეს ამ ნიჭიერ ყმაწვილის ხელში ჩაგდება და უნდოდათ ესეც ბე-რად შეეყენებინათ.

ერთხელ ვიჩენცომ თვალი მოჰკრა თავის შვილს ბერის ტანი-სამოსში და იმ დღიდან ახალგაზდა გალილეოს ბედი სხვა გვარად დატრიალდა. მაჩას სრულებითაც არ უნდოდა შვილის ბერად შეე-ნება, მაშინვე გამოიყვანა მონასტრიდან და გაგზავნა ქალაქ პიზას, იქაურ მაღალ სასწავლებელში, უნივერსიტეტში, ექიმობის შე-სასწავლად.

გალილეომ პიზაში არ დაასრულა ექიმობის სწავლა.

ახალგაზდა ყმაწვილი მოულოდნელად გაჩნდა ფლორენციაში. მივიდა თუ არა თავის სახლში, პირდაპირ შეიჰრა დედის ოთახში. გალილეო მაშინ წარმოსადეგი ახალგაზდა ყმაწვილი იყო საამური შე-ხედულობისა; შავი ხუჭუჭი თმები ბეჭებზე სცემდა.

აღელვებული გალილეო მხურვალედ მიესალმა დედას და მერე ცხარედ მოჰყვა ლაპარაკს:

— არა, მე ვერ გამოვალ ექიმად! ფუჭად ჩამივლის ის დრო, რასაც ექიმობის სწავლას მოვანდომებ, ტყუილად ვეწვალები. კმარა, ეხლა მე ყმაწვილი აღარა ვარ, რომ სხვებმა მატარონ ხელით. მე ჭკუა-გონება მაქვს და საქმეს ისე წავიყვან, როგორც ჩემი ჭკუა გა-მიკრის. კმარა! მე იღარ მინდა ექიმობის შესწავლა; არ მომწონს ექიმების დაძველებული აზრები.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, გალილეო! რა მოხდა? რათა ხარ აგრე აღელვებული? — გაკვირვებით ჰკითხავდა დედა.

— როგორ თუ არ მოხდა? განა თქვენი სურვილი არ იყო, რომ მე უთუოდ ექიმობა შემესწავლა? მერე? — ტყუილად დრო დავკარგე, და რიგიანი, გამოსადეგი კი ვერა ვისწავლე ა.

ამ ლაპარაკის დროს ოთახში შემოვიდა ვიჩენცო და, შვილის სიტყვები რომ გაიგონა, ძალიან შეწუხდა; მამას დაეკარგა იმედი რომ შვილი სახელ-განთქმული ექიმი გამოუვიდოდა, ხედავდა, რომ გალილეო მართლა პატარა აღარ იყო, ხედავდა, რომ იმის გაღვიძებულ და განვითარებულ ჭიუას დედ-მამა ვეღარ უწინამძღვრებს და შვილი ამათ ამორჩეულ გზას არ დაადგება. ხედავდა, ამას მამა და ნაღლიანი, ჩაფიქრებული ხმა-ამოულებლივ ისმენდა ახალგაზრდა ყმა-წვილის აღელვებულ ლაპარაკს. ბოლოს გაიქნია თავი და უთხრა:

— როგორც ჭიუა გიჭრიდეს, შვილო, ისე მოიქეც. მე ნულარას დამაბრალებ. მე ვიჩვენე სწორი გზა, რომელიც მოგცემდა სიმდიდრეს და სახელს, შენ არ ინდომე, სხვა გზა ირჩიე, — ლმერთმანელი მოგიმართოს! არ დაგიშლი, დაადეგ შენს ამორჩეულს გზას და იყავ ბეღნიერი!

III

გატაცებით შეუდგა გალილეი იმ მეცნიერების შესწავლას, რომელზედაც იმას გული მიუწევდა; მალე თავიც იჩინა და სახელი ისე გაითქვა, რომ ბევრს ხანს არ გაუვლია და გალილეი პიზის უნივერსიტეტში პროფესორიდ დანიშნეს.

პროფესორი, მართალია, ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ ყველას უნივერსიტეტის თვალიად მიაჩნდა. თავის საფუძვლიანი ცოდნით, ჭივიანური სიტყვით და ნიჭით გალილეიმ პოლო მოულო ძველებურ სწავლას.

ძველი სწავლის მიმღევარნი, რასაკვირველია, მტრად გაუხდენ გალილეის. უნიჭებს არ მოსწონთ, როდესაც სხვები უფრო ნიჭიერები, თავს იჩენენ: და აი ერთხელ, როდესაც გალილეიმ საქვეყნოდ, მეცნიერებისა და დიდ ძალი ხალხის კრებაზე, აშკარად დაუმტკიცა თავის მტრებს, რომ ისინი სცდებიან, იმათი სწავლა-მოძღვრება შემცდარია, — იმათ იმის მეტი ვერა მოახერხეს ა, რომ გალილეი მეტიარა და გიუ სწავლულად დასახეს.

ამ დღიდან უნიჭო მტრებმა მოსვენება აღარ მისცეს საბრალო გალილეის და იქამდე მიიყვანეს, რომ გალილეი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა პიზა და წასულიყო ფლორენციაში, ცარიელის ჯრბით.

ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა სწავლული პროფესორი, შინ რომ დაბრუნდა: დაბრუნების შემდეგ მაღვ მოუკვდა მოხუცი მამა და მთელი იმისი ოჯახი გალილეის შესანახავი გახდა.

სრული სიღარიბე და სიღატაკე ელოდა გალილეის, რომ ბედზე არ მოშველებოდა ერთი კეთილი და ერთგული მეგობარი. ამ გულ-კეთილი კაცის შემწეობით ვენეციის მმართველობამ მიიწვია ეს გამოჩენილი სწავლული ქალ. პალუის უნივერსიტეტში პროფესორად.

ამ დროიდან იწყება ჩინებული და ყველასთვის სახსოვარი ხანა გალილეის ცხოვრებისა. თვრამეტი წლის განმავლობაში, რაც გალილეი პალუის იყო, თავის სამშობლო ქალაქს მოშორებული, ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას.

IV

ჩვენ ნაცნობ სახლში, ფლორენციაში, იჯდა მარტოდ მარტო გალილეის დედა და რაღასაც აკეთებდა. მოხუცებული ნაღვლიანად იგონებდა თავის განსვენებულს ქმარს, თავის უფროსს ვაჟი-შვილს, სახელ-განთქმულს და ყველასაგან ცნობილს, რომელიც, სამშობლო სახლს მოშორებული, სხვაგან, შორს სცხოვრობდა.

ამ დროს ერთბაშად კარების ჭრიალი მოესმა. მოხუცმა მოხედა და თვალ წინ გამოეცხადა წამოსდეგი, მშვენიერის სახის ვაჟკაცი, სასახლის ტანისამოსით.

— გეყოფათ მწუხარება, ქალბატონო ჯულიო! — უთხრა მოხუცს ახლად შემოსულმა და თავი დაუკრა, — რა დროს დარღი და ნაღველია, სასიამოვნო ამბავი მომაქვს, მახარობლად მოვდივარ. თქვენმა შვილმა, თქვენმა სახელოვანმა გალილეომ მთელი სასახლე აღტაცებაში მოიყვანა. თითონ მეფემ გამომგზავნა თქვენთან მახარობლად — მიბრძანა გთხოვთ, ეხლავ მისწეროთ პალუაში მეფის სურვილი, რომ დაუბრუნდეს თავის სამშობლო ფლორენციას, იმის სასიქადულო მამულისშვილი გალილეი.

— როგორ! გალილეოს ეუბნებიან, დაბრუნდიო? ჩემს საბრალო გალილეოს, ჩემს ტანჯულ შვილს? არა, არ მჯერა... ან რა ფიქრად მოსასვლელია? განა სამშობლოში არ დასახეს გიფად, განა სამშობლოში არ დაუკეტეს იმას უნივერსიტეტის კარები? რისთვის გნებავთ, რომ ჩემმა შვილმა დასტოვოს ის სტუმართ მოყვარე, თავისუფალი ქვეყანა, საცა იმან მოიპოვა მყუდრო ცხოვრება, პატივი და სახელი? რისთვის, ერთი მითხარით? კიდევ ჩავარდეს სატანჯველში?... არა, არ მინდა, თავი დამანებეთ!...

— მოიფიქრეთ, ბატონო, მაგას რა მოჰყვება! თქვენი კერპობის და ურჩობის წყალობით იმას დევნას დაუწყებენ. ამაში თქვენ იქნებით დამნაშავე. მეფე უბრუნებს იმას ყველა ღირსებას და უფლებას, რომელიც ისე უსამირთლოდ წაართვეს! გარდა მაგისა, ჩვენი მოწყვალე ხელმწიფე თქვენ შვილს თავის სასახლეში უპირებს იყვანას, როგორც ფილოსოფოსს და პირველ მეცნიერს. ჯამაგირსაც დიდ უნიშნავს და იმდენ თავისუფლებას აძლევს, რომ თავის დროს და ცოდნას როგორც უნდა, ისე მოიხმარებს.... ნუ თუ ყველა ეს წყალობა საკმარისი არ არის, რომ ჩვენს ხალხს შეცოდება ეპატიოს.

— კარგი, კარგი შვილი ხომ დამიბრუნდება! როგორც ყმაწვილობაში, იი აქ გვერდით მოვისვამ! იღრინდელივით შეაცქერდება ამ საათს... იქნება ეს საათი იყო მიზეზი, რომ იმან ისეთი სახელი მოიხვეჭა..!

ამ მოულოდნელმა ამბავმა საბრალო დედა სიხარულით აავსო. სიჩაროდ მისწერა შვილს და სთხოვდა, მამის კერას დაბრუნებოდა.

იმავ ზაფხულს, 1610 წელს, დიდის ამბით დაბრუნდა ფლორენციაში გამოჩენილი სწავლული და დიდათაც დაასაჩუქრეს. მეფემ უბოძა ოქროს ძეწკვი და დიდი საჩუქარი ფულად. გალილეის პატივ-საცემლად გადაიხადეს დიდი დღესასწაული, პოეტები შესხმას უძღვნიდენ, სწავლულნი ჰკვირობდენ ამის ნიჭიერებას. თვით იმ დროის გამოჩენილმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა კეპლერია შეამოწმა გალილეის ცოდნა და ნიჭი და სთქვა: „შენ გაუსწარ ყველას, გალილეი!“

მართლაც, იმ მეცნიერებისთვის, რომელსაც ასტრონომიას (ვარსკვლავთ-მრიცხველობა), და ფიზიკას ეძახიან, ისე ბევრი არავის შეუძენია, რაც გალილეიმ შესძინა.

ამ სწავლულშა გვიჩვენა პირველად, რომ მზეზე ლაქები არის; ამან გვასწავლა, რომ მთვარეზე ბევრი მთა და ბარია; ამისგან გავიგეთ, რომ მზე თავის გარშემო ტრიალებს. იმანვე გაგვახსენა კვლავ ვარსკვლავთ-მრიცხველი კოპერნიკის სწავლა, რომ ჩვენი დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს. ამანვე აგვიხსნა დიდი ვარსკვლავის ოტარიდის (მერკურის) ცვლილება. გალილეი შემოიღო დურბინდის, თერმომეტრის *) და მიკროსკოპის **) ხმარება და კიდევ სხვა ბევრი რამ გამოიკვლია და გვასწავლა.

ამას ყველა ხედავდა და ამის გულისფრის ასეთ პატივსა სცემდენ გალილეის; ვერა ხედავდენ ამას მხოლოდ უმეტრების მომხრენი. ესენი გაბრაზებული იყვნენ, რომ გალილეი ასე ძლიერ იმარჯვებდა იმათზე, და ამაოდ ცდილობდენ, შეეკრაო ახალი სწავლის გზა. გალილეი მხნედ და მამაცად იგერებდა მტრებს და თანაც მასხარადაც იგდებდა.

გაშინ უმეტრებამ სხვა გზა ამოირჩია. გალილეის საშინელი ბრალი დასდო, — დასწამეს ვითომ გალილეი ღვთისა და მის რჯულის წინააღმდეგობას ქადაგობდეს. ამათ გამოაცხადეს, რომ გალილეის სწავლა არ ეთანხმება წმიდა სახარებას და წინააღმდეგია ეკლესიისათ.

მანამ ამ გამოჩენილს სწავლულს ძლიერი მფარველი, მეფე კაზიმი II, ცოცხალი ჰყავდა, ამ საშინელ ბრალს აღვილად იცილებდა თავიდან და ებრძოდა თავის მოსისხლე მტრებს. მაგრამ ბოროტი კაცების ღვარძლს და გესლს საზღვარი არა ჰქონდა. დღე არ გავიდოდა, რომ გალილეი არ დაებეჭდებიათ რომში ინკვიზიციის წინაშე.

ინკვიზიცია საშინელი სასულიერო სამსჯავრო იყო; ამ სამსჯავროს მსაჯულნი სასტიკად ეპყრობოდენ, ვისზედაც კი ეჭვს შეიტანდენ, ან ენას მიუტანდენ, რომ სარწმუნოების წინააღმდეგიაო. ეს მსაჯულნი შეუბრალებელი იყვნენ და ხშირად მართალსაც დასჯიდენ ხოლმე.

აი ამ ინკვიზიციას მიჰმართეს გალილეის მტრებმა. ღროებით ინკვიზიცია ხმას არ იღებდა, რადგან მეფე ამის მფარველი იყო.

*) თერმომეტრი—სითბოს და სიცივის შესატყობი იარაღია.

**) მიკროსკოპი—ერთგვარი იარაღია, რომელიც პატარა საგნებს დიდად გვაჩვენებს.

მაგრამ მოვიდა დრო, და გალილეის უბედურებამ უსწრო. იმის მფარველი მეფე გარდაიცვალა და ტოსკანის მფლობელად გახდა იმისი ქვრივი, რომელიც ინკვიზიციის მსაჯულების სიტყვას მისდევდა.

ამავე დროს გარდაიცვალა აგრეთვე გალილეის მფარველი რომის მღვდელთ-მთავარი, პაპი გრიგოლი, და მძლავრმა ურბანმა დაიკირა იმისი ადგილი. ამ ხანებშივე გალილეიმ გამოსცა მეტად შესანიშნავი თხზულება: „სჯა ცისა და ქვეყნის ორ-გვარ მოწყობილობაზე“. ამ თხზულებაში სხვათა შორის მასხარად იგდებდა თავის უმეტარ მტრებს. მტრებმა ხელი ჩასჭიდეს ამ თხზულებას, ჩაგონეს პაპს, ვითომ თხზულებაში ის ყოფილიყოს გამოყვანილი და მასხარად აგდებული. გაბრაზებულმა ურბანმა საშინელი დევნა დაუწყო დამწერს.

იანგარი იდგა 1632 წლის. ფლორენციის ქუჩები ჩაბნელებული იყო. დასავლეთიდან შავი ღრუბელი მოდიოდა. შორიდან ოდნავ მოისმოდა ქუხილი, და თანდათან ეს ქუხილი ამ სატახტო ქალაქს მოუახლოვდა. ზოგჯერ ერთ წამს გაიელვებდა და გაანათებდა შავი ღრუბლით მოცულ ცას, და მერე ისევ სიბნელე მოჰყენდა არე-მარეს.

დალალულ-დაქანცულ ქალაქს ახალწლის დროს გატარებაში გართულს, ღრმა ძალით ეძინა. ყველგან დიდი სისჩუმე იყო ჩამოვარდნილი. ფანჯრებიდან სინათლე არსათ მოჩანდა; მხოლოდ ერთი სახლიდან, ჩევნი ნაცნობი სახლიდან, სადაც იდგა გალილეი, გამოსჭრეტდა შუქი.

საწერ-მაგიდასთან, თავის ოთახში, იჯდა სამოცდაათის წლის მთლად გათეთრებული სწავლული გალილეი. მოხუცი ღრმად გართული იყო კითხვები, თავის უკანასკნელ თხზულებას შენიშვნებს უკეთებდა და აბა რა ფიქრად მოუვიდოდა, თუ რაიმე უბედურება მოელოდა.

უცბად, ამ საშინელ სიჩუმეში, მოისმა კარის რახუნი... მეორედაც მალე დაარახუნეს. მოხუცი წამოდგა და კარი გააღო. გალილეისთან შემოვიდა ოთხი კაცი, თავით ფეხამდე შავებში გახვეული, მხოლოდ თვალები-ლა უჩანდათ. მაგრამ გალილეი მალე მიხვდა, ვინც იყვნენ ეს უდროოდ მოსულნი. ყველამ იცოდა, რომ ამ სახით ტანთ იცვამდენ ინკვიზიციის მსახურნი.

გალილეი ისე შეიპყრეს, რომ ხმა არ ამოუღია, ხელი არ გაუნდრევია; ავად-მყოფს, დაუძლურებულს მოხუცს თავი უკრეს რომ-ში. იანვარში გზები გაფუჭებული იყო და უდანაშაულოდ შეპყრობილმა მოხუცმა თითქმის თვე ნახევარი გზაში გაატარა და ნახევარზე მეტი გზა ფეხით გაიარა.

რომს მიიყვანეს თუ არა, საპყრობილები ჩასვეს გალილეი. და აქ დაიწყეს ინკვიზიციის მსაჯულებმა თავიანთი დაუსრულებელი გამოკითხვა და ტანჯვა.

გალილეი სხვათა შორის ამბობდა და მეტნიერულადაც ამტკიცებდა, რომ მზე კი არ უვლის გარს დედამიწასო, დედამიწა ტრიალებს მზის გარშემოო.

მტრებმა ეს დიდ და მიუტევებელ ცოდვად ჩაუთვალეს გალილეის, ინკვიზიციის დაასმინეს, და ინკვიზიციამაც ეს დაიხვია ხელზე და იმის ცდაში იყო, რომ ძალ-დატანებით გადაეთქმევინებინათ გალილეისთვის ეს აზრი.

სულით და ხორცით დატანჯულს გალილეის ხშირად თვალშინ წარმოუდგებოდა ხოლმე იმ უბედურთა ხევდრი, რომელნიც არა ერთხელ დაუტანჯავს და დაუწვავს ინკვიზიციას, მხოლოდ იმიტომ, რომ იმათი აზრი ამათსას არ ეთანხმებოდა, და მოხუცმა ვეღარ შესძლო და სასო-წარკვეთილებით უთხრა თავის მტანჯველებს:

— თქვენს ხელში ვარ და, მეტი რა ღონეა, უნდა დაგემორჩილოთ, რაც გნებავდეთ, ის მიყავით!

მსაჯულებსაც ეს უნდოდათ, ამითი ისარგებლეს და ხელ-წერილი ჩამოართვეს, რომ გალილეი თავის სწავლა-მოძღვრებას უარჰყოფს.

იმის მტრებმა არც ეს იქმარეს. მალვით, ჩუმ-ჩუმად ისეთ ორგოს უთხრიდენ, რომელიც ამ გამოჩენილ სწავლულს უთუოდ ბოლოს მოუღებდა.

იმ წელსვე, 16 ივნისს, საღამოთი პაპი ურბანის სასახლეში, საღაფის თაღებით ამოყვანილ დარბაზში მოგროვდა უმიღლესი სამღვდელოება. თუმცა სახე არავის უჩანდა, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ ამათ შორის თვითონ პაპი-ურბანიც ბრძანდებოდა.

საშინელს, თავზარდამცემ სამსჯავროს წარმოადგენდა ეს მკრთალად, მოწითლოდ განათებული დარბაზი; ჩაბნელებული თაღები,

საწამებლად⁹ მომზადებული იარაღები და ხმა-გაკმენდილნი სულიერნი მამანი, შავებში გახვეულნი.

კარგა დიდ ხანს იყო ასე სიჩუმე. შემდეგ მსაჯულებმა დაიწყეს ლაპარაკი. ბოლოს ერთი მსაჯული წამოდგა და წაუკითხა გალილეის განაჩენი ისეთის ხმით, თითქმ ეს ხმა სამარიდან მოისმისო. ამ განაჩენის ძალით მოხუცისთვის უნდა მეორედ გამოეკითხნათ, ეწამებინათ და ოღეკრძალათ წაკითხვა იმის თხზულებისა; სახელმანი სწავლულისთვის საქვეყნოდ უარი უნდა ეთქმევინებინათ თავის აზრებზე და ბოლოს უვადოდ ციხეში დაემწყვდიათ.

მსაჯულის გაქვავებული გულიც კი, რომელსაც თავის დღეში არც კი შეჰპაროდა სიბრალული, — ახლა აღშფოთდა, რომ ასე სატიკად უნდა დასჯილიყო გამოჩენილი მოხუცი.

— ეს ძალიან სასტიკი განაჩენია, მე ხელს ვერ მოვაწერ, — სთქვა ერთმა მსაჯულმა.

— ვინც თანახმა არა ბრძანდება, ვთხოვ, კრებას თავი დაანებოს, — ბრძანა ცივად მსაჯულთ-უფროსმა.

ორიოდ მსაჯული წამოდგა და გავიდა. ათმა დანარჩენმა საჩქაროდ ხელი მოაწერეს.

ხუთი დღე გავიდა ამ ამბავს შემდეგ. დიდილი ხალხი მიაწყდა ქალაქ რომის ერთს ეკლესიას, სადაც უნდა ენახათ, როგორ შეარცხვენდენ. და დამცირებდენ იმ კაცს, რომლის სახელი დღეს, სხვათა გამოჩენილ იტალიელთა შორის, ისე ბრწყინავს, როგორადც იმისგან აღმოჩენილი ვარსკვლავები.

შუა ეკლესიაში, ამაღლებულ ადგილას ისხდენ მსაჯულები, იმათ წინ იდგა მოხუცი გალილეი, თვალცრემლიანი, დაჩოქილი. მსაჯულთ-უხუცესი ხმა-მაღლა უკითხავდა გალილეის განაჩენს.

როცა განაჩენის კითხვა გაათავეს, ერთი მსაჯული მოუბრუნდა გალილეის და უთხრა:

— ულირსო მონავ, გალილეი, ღმერთი და ხალხი ელის, რომ მოინანიო და უარ ჰყო შენი ცრუ აზრები, შენი სწავლა-მოძღვრება!

— მე, გალილეი, განსვენებული ვიჩენცო გალილეის შვილი, სამოცდა ათის წლის მოხუცი, მუხლს ვიდრეკ თქვენს წინაშე, უწმინდესნო მსაჯულნო... ფიცს გაძლევთ, რომ მწამს კათოლიკე ეკლესიის სწავლა და ვფიცავ, რომ ამას იქით არც სიტყვით, არც

წერით არ გამოვთქვა ის აზრი, ვითომ დედამიწა არ იყოს ცისა და ქვეყნის შუაგული ადგილი. აღარსაღა ვთქვა, ვითომ დედამიწა ტრიალებდეს მზისა და თავის გარშემო.... და თუ ჩემს ფიცს გადვუდგე-გთხოვთ, დამსაჯოთ ისე, როგორადაც ღირსი ვიყო.

როგორც კი ეს ძალ-დატანებული ფიცი გამოსთქვა, სევდით და ნალვლით გატაცებული მოხუცი უეცრად შეიცვალა. იმის ჩინებულ თვალებს ჭაბუკის ცეცხლი მოედო, თვალის დახამხამებაზე წა-მოხტა ფეხზე, გაიშალა წელში, მიწაზე ფეხი დაჭკრა და ხმა-მაღლა თქვა:



— მე მაინც ვიტყვი, რომ დედა-მიწა ტრიალებს!

ხალხი ალელდა. ზოგი იბრალებდა მოხუცს და ზოგი კი, მე-ტალრე იმის მტრები, დასცინოდენ და ჰემობდენ.

გალილეი მაშინვე საპყრობილები წაიყვანეს, ზაგრამ დიდხანს არ იყო დამწყვდეული. მეგობრები ბევრს ეცადენ და მალე გადაიყვანეს ფლორენციის ახლო, ერთს სოფელში. აქ მოხუცი მარტოდ

ცხოვრობდა, მხოლოდ იმის ქალიშვილს პქონდა ნება მისი ნახვისა, სხვას კი არავის.

დაუძლურებული მოხუცი დღე და ღამ მუშაობდა და სწერდა ამ განმარტოებულ, მიყრუებულ აღგილას.


სიკვდილის ორიოდ წლის წინათ გალილეიმ დაკარგა თვალის სინათლე. ცა და ქვეყანა, რომელიც მან ასჯერ და ათასჯერ გადა-ათვალიერა და ჩვენ დაგვიახლოვა, ახლა მისვან უხილავი გახდა.

სიკვდილის წინათ მოხუცმა დაიბარა თავისი საყვარელი მოწა-ფე ტორიჩელო და უანდერძა: განაგრძე ჩემი სწავლა-მოძღვრებაო.

8 იანვარს 1642 წელს გაქრა დიდი მნათობი, რომელმაც თა-ვის ზეცით მომადლებული ნიჭით მისცა სინათლე ცას და ქვეყანას.

ფლორენციაში, წმიდა ჯვარის ეკლესიაში, გალილეის საფ-ლავზე სდგას მშვენიერი ძეგლი, რომელსაც ზემოდან დასცემიან გეომეტრიისა და ასტრონომიის ფიგურები და თითქოს დასტირიანო მსოფლიო გენიოსს.

ეს ძეგლი დაუდგეს გალილეის შვილი-შვილებმა ასი წლის შემ-დეგ, თავის მამა-პაპის შეცდომის გასასწორებლად.





პოპერნიკის ცხოვრება.

სტრონომია ანუ ვარსკვლავთ-მრიცხველობა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცის მნათობებს: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და სხვ., და იკვლევს მათს მოძრაობას. ყოველივე, რასაც ჩვენ ვსწავლობთ, მრავალი მეცნიერის დაუღალავი შრომით არის შეძენილი. ამგვარი პირებისა ჩვენ ყოველთვის მაღლიერი უნდა ვიყოთ. მათი ცხოვრებისა და მოქმედების გაცნობას უნდა ვცდილობდეთ. ასტრონომიაში ერთი უდიდესი მეცნიერთაგანი იყო ნიკოლოზ კოპერნიკი.

კოპერნიკი დაიბადა 1473 წელს, ორ თებერვალს პრუსსიის ქალაქ ტორნში. რა ეროვნებას ეკუთვნოდა, დანამდვილებით არავინ იცის. ზოგის გამოკვლევით ის იყო გერმანელი, ზოგი ამტკიცებს, კოპერნიკი პოლონელი იყოვო. პოლონელები კი დარწმუნებული არიან, რომ კოპერნიკი პოლონელი იყო და ასეთი მეცნიერით თავი მოაქვთ. კოპერნიკის მამა იყო ვაჭარი. პატარა კოპერნიკი ჯერ სახლში სწავლობდა, შემდეგ საშუალო სასწავლებელში შევიდა. ათი წლისა იყო, როდესაც მამა მოუკვდა და თავისი ბიძის მზრუნველობის ქვეშ დარჩა. ბიძა მისი ეპისკოპოსი იყო, განათლებული და ჰქვიანი კაცი; დისტულს სასტიკათ ეპყრობოდა, მაგრამ უყვარდა ის და ცდილობდა, რომ მისთვის კარგი განათლება მიეღებინებია. საშუალო სასწავლებლის გათავების შემდეგ კოპერნიკი უნივერსიტეტში შევიდა. სწავლის წყურვილი ძლიერი ჰქონდა და ყოველისფერს სწავლობდა, მაგრამ ყველაზე უფრო ასტრონომია შეუყვარდა და ამიტომ ამას შეტყურადლებას აქცევდა. როდესაც 1494 წელს კოპერნიკიმა უნივერსიტეტს თავი დაანება, ასტრონომია მან საფუძვლიანათ იკოდა.

კოპერნიკმა უნივერსიტეტში სამი წელიწადი დაჰყო. რაღაც არ მოეწონა, სწავლა აღარ გაუგრძელებია, დაანგება თავი და გასწია იტალიაში; შევიდა ბოლონის უნივერსიტეტში და კანონმდებლობის შესწავლას მიჰყო ხელი; ამავე დროს ასტრონომიასაც სწავლობდა. იქედან კოპერნიკი რომში გადავიდა და უმთავრესი ყურადღება ასტრონომიას მიაქცია. მაშინდელი ასტრონომია მას არ მოსწონდა და დაიწყო კვლევა, რომ ეს მეცნიერება უტყუარ საფუძველზე დაემყარებია. კოპერნიკს მეცნიერება იმდენათ შეუყვარდა, რომ გადასწყვიტა, ყოველისფრისათვის თავი დაენებებია და მთელი სიცოცხლე მეცნიერებისათვის შეეწირა; ამისათვის შეძლება იყო საჭირო-



ბევრი ფიქრის შემდეგ კოპერნიკმა გადასწყვიტა, ბერად შესულიყო: მაშინ ბერებს დასავლეთ ევროპაში კარგი ჯამაგირი ეძლეოდათ, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ და შეეძლოთ, თუ კი სურდათ-ეს დრო სწავლისათვის მოენდომებიათ. კოპერნიკმა რომიდან სამშობლოში გამოსწია, ბიძის შემწეობით იშოვნა ბერობა, მალე ითხოვა: სწავლის გაგრძელება მსურს და იტალიაში გამისტურეთ რამდენიმე წლითო; კოპერნიკმა ნება მიიღო და გახარებულმა იტალიისაკენ

გამოსწია; შეისწავლა კარგათ მართლ-მსაჯულობა, კანონები და შემ-
დეგ საექიმო მეცნიერების შესწავლას მიჰყო ხელი.

კოპერნიკმა იტალიაში დაჲყო ათი წელიწადი, შეისწავლა თი-
თქმის ყოველგვარი მეცნიერება, რაც კი იმდროს არსებობდა და
1506 წელს დაბრუნდა სამუდამოდ სამშობლოში. ამ დროს ის უკვე
ოცდა ცამეტი წლის იყო.

არც სიძლიდრე, არც სახელი, არც დიდება არ იზიდავდა კო-
პერნიკს; მისი ცხოვრების მიზანი მეცნიერება იყო. ჯერ ბიძასთან
ცხოვრობდა და სულ წიგნებში ატარებდა დღე-ლამეს; ბიძის სიკვდი-
ლის შემდეგ მონასტერში წავიდა და თავის განმარტოებულ სადგო-
მში შეუდგა ასტრონომიის კვლევას.

თავისი ახალი ასტრონომიული სისტემა მას უკვე იტალიაში
ჰქონდა გამოკვლეული. მაგრამ კოპერნიკი არ ჩარობდა გამოქვეყ-
ნებას, მთელი ლამები აკვირდებოდა ვარსკვლავებს და იკვლევდა მათ
მოძრაობას. კოპერნიკის დროს არსებობდა ფტოლომეოსის ასტრო-
ნომია; ფტოლომეოსი ამტკიცებდა, დედამიწა გაჩერებულია, მზე კი
მას უვლის გარშემოო. როდესაც კოპერნიკმა ასტრონომია საფუ-
ძვლიანად შეისწავლა, დარწმუნდა, რომ ფტოლომეოსი შემცდარი
იყო; მრავალი დაკვირვებისა და კვლევა-ძიების შემდეგ იმ აზრს დაა-
დგა, რომ დედამიწა უვლიდა მზეს გარშემო. როგორც უკვე მოვიხსე-
ნეთ, კოპერნიკი არ აცხადებდა თავის გამოკვლევას ჯერ ჯერობით, მა-
გრამ მისმა მეგობრებმა გაავრცელეს ხმა მისი ახალი სისტემის შესა-
ხებ. ამ გაგონებამ ბევრი მეცნიერი ჩააფიქრა, ბევრმა კი კოპერნიკი
საცინლათ აიგდო. მწერლობაშიც კი დაუწყეს მას დაცინვა. ზოგი სუ-
ლელს უძახდა მას, ზოგი გადარეულს; ზოგი გამოკვლევას უკვე არ-
ღვევდა, მაშინდელი წიგნებიდან მოჰყავდა სიტყვები და გაიძახოდა:
მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ დედამიწა გაჩერებულია, მზე კი მას
გარშემო უვლის; ვიღაც სულელი კოპერნიკი კი თურმე ამტკი-
ცებს, დედამიწა ტრიალებს მზის გარშემოო. მიუხედავათ იმისა რო-
მეგობრები თხოვდენ კოპერნიკს: დაბეჭდე შენიშვინი, კოპერნიკი
უარზე იყო; მხოლოთ 1543 წელს გადაწყვიტა თავისი წიგნის და-
ბეჭდა. ამავე წელს კოპერნიკი ავათ გახდა; მალე ლოგინათ ჩავა-
რდა და მისი მორჩენა თანდათან საეჭვო ხდებოდა. სიკვდილი თი-
თქოს მისი წიგნის დაბეჭდას უცდიდა: 23 მაის 1543 წელს კოპერ-

ნიკმა კიდეც მიიღო თავის ახლათ დაბეჭდილი უკვდავი წიგნი და რამდენისამე საათს შემდეგ გარდაიცვალა.


კოპერნიკის წიგნი შესდგება ექვსი ნაწილისაგან; ამ წიგნში ის იკვლევს ვარსკვლავების, მთვარის, მზის, დედამიწის მოძრაობას, არ-ლვებს და უარპყოფს ფტოლომეოსის სისტემას და ამტკიცებს: დედა-მიწა ტრიალებს მზის გარშემო.

დღეს მეცნიერებაში საბოლოოდ და მრავალი საბუთებით დამტკიცებულია, რომ დედა-მიწა მზის გარშემო ტრიალებს. კოპერნიკის წყალობით დღეს ყველამ ვიცით ეს ჰეშმარიტება, მაგრამ კოპერნიკის დროს ხალხი სხვანაირათ ფიქრობდა და შესანიშნავ შეცნიერს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. უმეტესობას კოპერნიკის გამოკვლევა სისულეელეთ მიაჩნდა და მთავრობასაც ყურადღება არ მიუქცევია; როდესაც კოპერნიკის გამოკვლევას გამოჩენილი მეცნიერები მიემხრენ, კოპერნიკის წიგნი თან-და თან გავრცელდა. მაშინ კი აკრძალა მთავრობამ კოპერნიკის წიგნი, მაგრამ უკვე გვიან იყო; ჰეშმარიტების სინათლემ უგუნურების წყვდიადი სამუდამოთ გაჰყანტა.

როგორც უკვე მოვიხსენეთ კოპერნიკმა საექიმო მეცნიერებაც შეისწივლა; თავისუფალ დროს ბევრს წამლობდა უსასყიდლოთ და ბევრი მაშინდელი პირი თავის წერილებში კოპერნიკს ქებით იხსენიებს, როგორც საუკეთესო ექიმს.

კოპერნიკი დაასაფლავეს ფრაიბურგში. მისმა მტრებმა გამოაცხადეს, მისი სიკვდილის შემდეგ: კოპერნიკმა სიკვდილის წინ უარპყო თავისი წიგნიო, მაგრამ ეს სრული სიცრუე გამოდგა. 1829 წელს კოპერნიკს ძეგლი იუგეს პოლონეთის უმთავრეს ქალაქ ვარშავაში. მისი მოწინააღმდეგენი ამ დღესასწაულს არ დასწრებიან.

ივ. გომართელი.



პ რ ე რ მ ნ ე თ შ ი



I

აბერძნეთში სცხოვრობდა მეფე, სახელად გიერონი. დიდის ხნის ამბავს გეუბნებით, ორი ათას ათასი წელიწადი იქნება მას შემდეგ. ერთხელ ამ მეფემ გვირგვინის გაკეთება მოიწადინა. დაიბარა ოქრო-შედელი, მისცა ოცი გირვანქა წმინდა ოქრო და უთხრა, კარგი მოხდენილი გვირგვინი გამიკეთეო.

ოქრომჭედელმა საუცხოვო რამ გვირგვინი გააკეთა და მოუ-ტანა მეფეს თავის დროზე. მეფეს ძალიან მოეწონა, მხოლოდ რო-გორლაც ეჭვი შეეპარა გულში, ოქრომჭედელმა ოქრო ხომ არ მოიპარა. აწონეს გვირგვინი და სწორედ ოცი გირვანქა გამოვი-და. გიერონს მაინც კიდევ არა სჯეროდა, რომ ოქრომჭედელს არა მოეპაროს რაო. მართალია ოც გირვანქას იწონს, მაგრამ იქნება ოქროს მაგიერ სხვა რამე აქვს გარეულიო. ამის გაგება, რასაკვირ-ველია, ადვილი იყო, გვირგვინი რომ გადაედნოთ, მაგრამ მეფეს გვირგვინის გაფუჭება ენანებოდა, —ძალიან ლამაზად იყო გაკეთე-ბული, —გაგება კი ძალიან უნდოდა. რა მოეხერხებინათ?

სწორედ ამავე დროს საბერძნეთში სცხოვრობდა ერთი კაცი დიდათ სწავლული, გამოჩენილი ფილოსოფიისი, სახელად არქიმე-დი, არქიმედს მთელს საბერძნეთში სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც დიდის და გამჭრიახის ჭკუის კაცსა. გიერონ მეფემაც სწორედ აი ამ კაცს მიჰმართა და სთხოვა, შეეტყო, წმინდა ოქრო-სია გვირგვინიო, თუ არა. რაღა თქმა უნდა, არქიმედს ის პირო-ბაც დაუდეს, რომ გვირგვინი არ დაეშალა.

ეს საქმე ძალიან ძნელი იყო, მეტადრე იმ ძველის დროის-თვის. მაშინ ბევრამა სწავლულმა კაცმაც არ იცოდა იმდენი, რაც ეხლა, შესაძლებელია, ჩვენმა პატარა ჭკითხველებმა იციან სხვადა-

სხვა წიგნებიდან. არქიმედს მაინც ძალიან მოეწონა ეს საქმე და ერთგულად შეუდგა. ბევრს ეცადა, ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

სხვა ამის ალაგას იმედს გადიწყვეტდა და თავს დაანებებდა, მაგრამ არქიმედი ამისთანა არ იყო. დიდი ჭიუისა და მტკიცე ხასიათის კაცი კიდეც ამით განირჩევა უბრალო კაცისაგან, რომ თუ ერთხელ მოჰკიდა საქმეს ხელი, უკან აღარ დაიწევს და საქმეს ბოლომდის მიიყვანს. ერთი ფიქრით იყო გატაცებული არქიმედი და, საცა უნდა ყოფილიყო, რაკი შემთხვევა მიეცემოდა, ამ საქმეს დაუბრუნდებოდა ხოლმე. ბოლოს კიდეც გაიმარჯვა არქიმედმა, თავის გულითადს წადილს მიაღწია. ერთმა უბრალო გარემოებამ უშველა და გაუადვილა საქმე. აი ეს გარემოება.

ერთხელ არქიმედი აბანოში წავიდა. ჩვეულებრივ აუზში ჩაჯდა. აუზი პირთამდე წყლით იყო სავსე. რაწამს არქიმედი აუზში ჩაჯდა, წყალი ამოიღვარა. ამას ყველა შეამჩნევდით, ვინც აბანოში ჰაჯდა, წყალი ამოიღვარა. მაგრამ იქნება, ყურიც არ მიგიგდიათ. არქიმედსაც, ცხადია, წინად არა ერთხელ ენახვებოდა ეს გარემოება, მაგრამ ყური ირც იმას უთხოვებია. ეხლა კი სულ სხვა იყო. ამას სულ ერთი ფიქრი აწუხებდა. და აი ამ უბრალო გარემოებამ, აუზიდამ წყლის ამოღვარამ, საქმეს მიაგნებინა.

ამბობენ, ამ გარემოებამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა თურმე არქიმედი, რომ სიხარულით მაშინვე აუზიდან ამოხტა, ტანჩაუცმელი, ტიტველა, ისე, როგორც იჯდა აუზში, ქუჩაში გამოვარდა და ყვირილით: „ევრიკა“! „ევრიკა“! ესე იგი: „გავიგე“! „გავიგე“! შინ გაიქცაო.

რამ გაახარა ასე არქიმედი? რა გაიგო? აი რამდენი ფიქრი აეძრა თავში არქიმედს ჯერ ისევ აუზში, ამოღვრილი წყალი რომ ნახა. აუზში რომ ჩავჯექ, წყალი ამოიღვარა,— რა იყო ამის მიზეზიო? — ჰკითხავდა თავის თავს არქიმედი. სხვა რა უნდა ყოფილიყოვო, — თითონვე აძლევდა თავის თავს პასუხს: — ის ადგილი, რომელიც წყალს ეჭირა აუზში, მე დავიჭირეო... კარგი!

ვთქვათ, მე ივიწონე სასწორზე და ჩემი წონა ორასი გირვანება ანუ ხუთი ფუთი, გამოვიდა. ვთქვათ, ახლა, ჩემ მაგიერ სავსე აუზში ხუთ ფუთიანი ქვა ჩავაგდე, — იმოდენივე წყალი ამოიღვრე-

ბოდა, თუ ნაკლებიო? — ცხადია, ნაკლები, — რაღან ქვა უფრო ნაკლებ ალაგს დაიჭერს, ვიდრე მე მექირაო. ხუთ ფუთიანი რკინა უფრო კიდევ ნაკლებ ადგილს დაიჭერს, მაშასადამე უფრო ნაკლები წყალიც ამოიღვრება. ოქრო რკინაზე მძიმეა, მაშ უფრო ნაკლებ წყალს ამოჰლვრიდა, უფრო ცოტა ადგილს დაიჭერდაო.

უველა ეს, როგორც ვთქვით, აუზში მოისაზრა და მოიფიქრა არქიმედმა. მოსაზრება კარგია, მაგრამ დიდი სიფრთხილეც უნდა. ადამიანი სრულად მაშინ უნდა დაენდოს თავის მოსაზრებას, როდესაც გამოსცდის და საკუთარის თვალით დარწმუნდება. არქიმედსაც ასე ჰსურდა დარწმუნებულიყო და ამის გამო ეხლა ამას ქვეყანაზე აღარა ახსოვდა რა, მთელი ამის ჭიუა და გონება ერთ ფიქრზე იყო მიქცეული: გამართლდება ჩემი მოსაზრება, თუ არა? მივაღწევ ჩემს წადილს, თუ არა? ასე იყო კაცი გატაცებული, და მაშ რა გასაკვირველია, რომ არქიმედი უცბად ამოვარდა აუზილან და ტიტველა შინ გაიქცა.

II

ვნახოთ ეხლა, რა გააკეთა არქიმედმა, შინ რომ მივიდა. როგორც აუზში ჰქონდა მოფიქრებული, არქიმედი ისე შეუდგა საქმეს. აიღო საცდელად რკინა, ტყვია, ქვა, მინა და სხვა. უველა თანასწორი წონისა იყო, ვთქვათ თითო გირვანქიანი. სასწორის ულელს ჩამოაბა ორთავე ბოლოს თანასწორი ძაფები, ერთზე ჩამოჰკიდა გირვანქიანი ქვა, მეორეზე გირვანქიანიე, ვთქვათ რკინა. სასწორის ულელი სწორედ იდგა, არც აქეთ გადიხარა, არც იქით.

ახლა მოუდგა სასწორს ქვეშიდან წყალი და რკინის ნაჭერი შიგ ჩაუშვა. სასწორის ულელმა გადიწია იმ მხარეს, სადაც გირვანქიანი ქვა იყო, — გირვანქიანმა ქვამ დასძლია გირვანქიანი რკინა. რისაგან მოხდაო ეს? ფიქრობდა არქიმედი. ცხადია, წყალი იყო მიზეზი, რადგან ორთავე ნაჭერს თანასწორი წონა ჰქონდათ.

ამ გვარადვე სცადა ტყვია, მინა და ბევრი კიდევ სხვა და აღმოჩნდა, რომ ყველა ეს სხეული წყალში უფრო ნაკლებს იწონის, ვიდრე ჰაერში, რომ ყველა სხეულს, წყალში ჩაშვებულს, წონა აკლდება. არქიმედმა, გარდა ამისა, ისიც შენიშნა, რომ თანასწორი წო-

ნის სხეულები წყალში თანასწორ წონას არ იკლებენ, ზოგი მეტს იკლებს, ზოგი ნაკლებს. მაგალითად, რკინა გირვანქაზედ შვიდ მისხლამდე წონას იკლებს წყალში, ქვა თვრამეტ მისხლამდე, მინა თეკვსმეტს მისხალს და სხვა ამ გვარად.

ეხლა კი მიხვდებით — შეეძლო არქიმედს, გვირგვინი არ დაეშალა და პირდაპირ შეეტყო, წმინდა ოქროსი იყო თუ არა? ცხადია, შეეძლო და აღვილიც იყო. არქიმედმა აწონა ოქროც ისე, როგორც რკინა, და შეიტყო, რომ ოქრო წყალში ერთ მეცხრამეტე ნაწილს თავის წონისას იკლებს. ერთი მეცხრამეტე ნაწილი გირვანქისა იქნება ცოტა ხუთ მისხალზე მეტი. გაშე ერთი გირვანქა ოქრო ხუთ მისხალს წონას იკლებს წყალში. გვირგვინი ოცი გირვანქა იყო, გაშასადამე ოც გირვანქაზე დაკლდებოდა ასი მისხალი, ანუ ერთი გირვანქა და ოთხი მისხალი. ერთი გირვანქა და ოთხი მისხალი რომ გამოვაკლოთ ოც გირვანქას, დარჩება თვრამეტი გირვანქა და ოთხმოცდა თორმეტი მისხალი. აი ეს წონა უნდა ჰქონოდა გვირგვინს წყალში, თუ სულ წმინდა ოქროსი იყო გაკეთებული.

ეხლა რაღა დარჩა არქიმედს? — აელო გვირგვინი და წყალში აეწონა. სწორედ ასეც მოიქა: აწონა და აღმოჩნდა, რომ გვირგვინი წყალში იწონის თვრამეტ გირვანქას და სამოცდა თორმეტს მისხალს. ცხადია, რომ გვირგვინი წმინდა ოქროსი არ იყო, ცხადია, რომ ოქრომჭედელს ვერ მოეთმინა და ოცი მისხალი ოქრო მოეპარა.

როცა მეფე — გიერონს უამბეს, რაც არქიმედმა გაიგო, ძალიან გაეხარდა. ქურდი ოქრომჭედელი, რასაკვირველია, ღირსეულად დაასჯევინა და არქიმედი კი არ იკოდა, როგორ დაესაჩუქრებინა. მხოლოდ თვით არქიმედი ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა — საჩუქარზე, საჩუქრის გულისთვის არ მიეცა არქიმედი ასე გატაცებით ამ საქმეს. მხოლოდ განუსაზღვრელი სიყვარული საქმისა აღელვებდა ამის გულს. ამ უბრალო გარემოებამ, გვირგვინის წონის შეტყობით, ბევრი ახალი აზრი იღრია ამის თავში. ბევრი უხილავი და საიდუმლო ბუნების მოვლენა წამოუდგა ეხლა თვალ წინ. ათასგვარი კითხვა და ფიქრი დაებადა და მოსვენებას არ აძლევდა, უნდოდა ყველაფრის მიზეზი ეპოვა, ყველაფრის პასუხი შეეტყო.

ფიქრმა და ცდამ უქმად არ ჩაუარა არქიმედს. არქიმედმა მიაგნო იმ კანონს, რომლის შემწეობით აღვილი გასაგები გახდა ყვე-

ლა ის, რაც არქიმედს ასე ძლიერ აფიქრებდა და აწუხებდა. ამ კანონს ეხლა პირდაპირ „არქიმედის კანონს“ ეძახიან.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ „კანონს“ მეცნიერებისთვის, ამას გაიგებთ, თუ მოგიხდებათ და ისწავლით იმ ნაწილს მეცნიერებისას, რომელსაც ფიზიკას ეძახიან. მე მხოლოდ რამდენსამე მაგალითს მოგიყვანთ, რომ „არქიმედის კანონის“ მნიშვნელობას ცოტათი მაინც მიხვდეთ.

რისაგან არის, მაგალითად, რომ რკინის უზარმაზარი გემები არხეინად დაიარებიან ზღვაში, როდესაც პატარა რკინის ნაჭერიც კი იმავე ზღვაში უცბად იძირება? — აგრეთვე გაუგებარია, როგორ არის, რომ საქონლით სავსე ხომალდები წყალში თავისუფლად დაცურავენ, და ამ საქონელში კი ზოგიერთი ისეთი ურევია, რომ წყალში ჩააგდებ თუ არა, ფიცხლავ იღუპება? — ტივებს რატომ არ სძირავს წყალი?

ყველა ამის და კიდევ ბევრი სხვა ამისთანა კითხვების პასუხს „არქიმედის კანონი“ გვაძლევს.

არქიმედს სხვა ღვაწლიც მიუძლვის მეცნიერების წინაშე. გეორგინებათ, რა არის აზარმაცი, რკინის კეტი. გენახვებათ აგრეთვე, როგორ ხმარობენ აზარმაცს, აზარმაცის ღირსება ის არის, რომ იმ სიმძიმეს, რასაც ამის შემწეობით ერთი კაცი ასწევს, უამისოდ ორი-სამი კაცი მოძრაობასაც ვერ უზამდა. მხოლოდ აღამიანმა აზარმაცის უმთავრესი თვისება უნდა იცოდეს: აუცილებლად საჭიროა, აზარმაცს წვერი მოაკიდებინოს და შუაზედაც იყოს რაზედმე დანდობილი.

აქ ნათქვამიდან მხოლოთ დაახლოვებით მიჰხვდებით, რა არის აზარმაცი. დაწვრილებით კი ფიზიკიდან შეგიძლიანთ იმის გაგება, თუ რას ეძახიან მეცნიერებაში აზარმაცს, რაში და რაგვარად იხმარება. არქიმედმა აქაც ბევრი რამ გაიგო, ბევრი რამ შევმატა მეცნიერებასა. რა დიდს მნიშვნელობას აძლევდა არქიმედი აზარმაცს, აქედან დაინახეთ. დიდ ხანს იყო არქიმედი ფიქრებით გატაცებული, სულ აზარმაცის თვისებას იკვლევდა და სცდიდა. უცბათ რაღაც ფიქრმა გაურბინა თავში, წამოვარდა და წამოიძახა: „ოღონდ შეძალებინეთ, ფეხი მოვიკიდო, და მთელს დედამიწას შევძრავ!“

ამდენი რამ შესძინა არქიმედმა მეცნიერებას, ამდენი სამსახური გაუწია კაცობრიობას, და მეტე რითი გადუხადეს მაღლობა? ამასაც გიამბობთ.

არქიმედის სამშობლო ქალაქს ერთმა სახელმწიფომ ომი გამოუტადა. ქალაქი ზღვის პირას იდგა და მტერიც ზღვიდან მოადგა ხომალდებით. მტერს დახვედრა უნდოდა. ყველა მამულის შვილი იარაღში ჩაჯდა და საომრად გამოვიდა. არქიმედსაც უყვარდა მამული და სხვას არც ეს ჩამორჩებოდა. ხოლო აქაც თავის ჭკუით და ცოდნით უფრო მეტი უშველა სამშობლოს, ვიდრე სხვამ იარალით.



უნდა გითხრათ, რომ იმ დროს ჯერ თოფის წამალი არ იყო მოგონილი და არც თოფები ჰქონდათ, არც ზარბაზნები. მთელი იმათი საომარი იარაღი შვილდ-ისარი იყო, და აბა შვილდ-ისრით რას გააწყობდენ. აი აქ მოეშველა სამშობლოს არქიმედი. ერთგვარი რაღაც მანქანა მოიგონა, რომელიც ვეებერთელა ქვებს ისე ისროდა, როგორც ეხლა ზარბაზნით ყუმბარებს ისვრიან. ამ ქვებს

უშენდენ მტრის ხომალდებს და დიდს ზიანს აძლევდენ, როგორც
ხომალდებს, ისე მტრის ჯარსა. ამის გამო ქალაქი დიდხანს უძლებდა
და მტრის ჯარს, თუმცა მტერი რიცხვით გაცილებით მეტი იყო.
ამასობაში არქიმედიც და ბევრი სხვა ჯარის კაციც უსაქმოდ იყვნენ.
არქიმედს უსაქმოდ ყოფნა არ უყვარდა და თავის სახლში და-
ბრუნდა. აქ ჩაიკეტა ჩვეულებრივ თავის ოთახში, დაყარა მიწაზე
ქვიშა და ამ ქვიშაზე ჯოხით რაღაცა ხაზებს ავლებდა, რაღაცა ნა-
ხატები გამოჰყენდა. ქვიშაზე იმიტომ ჰარავდა არქიმედი, რომ იმ
დროს ჯერ არც ქალალდი იყო საწერად, არც ასპიდის დაფები. რა
ჰქონდა ფიქრად არქიმედს, ახალს რას უშზადებდა კიდევ მეცნიერე-
ბას და კაცობრიობას, არავინ იკის.

არქიმედი ისე იყო ჩაფიქრებული და გართული ამ საქმეში,
რომ გარეთ ქვეყნისა აღარა ესმოდა რა. გარეთ ქვეყანაში კი, ამის
სამშობლო ქალაქში, აქვე, იმის ახლოს, დიდი ამბავი იყო ამ დროს,
მტერმა როგორც იყო აილო ქალაქი, შემოესია და შეუბრალებლად
იკლებდა და აოხრებდა ყველათერს. გამდვინვარებული მტერი იღა-
რავის ინდობდა, აუარებელს ხალხს ჰმუსრავდა და ჰელეტდა...


არქიმედი კი დასკეროდა თავის ნახატებს და ქვეყნისა არაფე-
რი ესმოდა.... აგერ კარები შემოილო და ჩაფიქრებულს არქიმედს
რამდენიმე ხმალ-ამოლებული კაცი თავს წამოადგა. გგონიათ შეშინ-
და არქიმედი? წარბიცა არ შეუხრაი, მხოლოდ ეს კი უთხრა მოუ-
ლოდნელ სტუმრებს: „ხელი არ ახლოთ ჩემს ნახატებს!“

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები არქიმედისა. მკვლელებმა აას-
რულეს ამის თხოვნა: ყურიც არ ათხოვეს, ქვიშაზე რაღაც ნახა-
ტები იყო, და არქიმედს კი თავი მოსჭრეს...

ასე ადვილად ხელი გამოიღეს მკვლელებმა ამ სახელოვან და
გამოჩენილ კაცზე! მაგრამ უმეტაზ ჯარის კაცებს ესმოდათ კი განა,
ვის ჰკლავდენ, ვინ და რა კაცი იყო არქიმედი? ეს პირველი მა-
გალითი არ არის, —უმეტრებას ხშირად ჩაუდენია ასეთი შეუნდო-
ბელი და მიუტოვებელი ცოდვა!

Ց Ա Բ Ա Կ Ա Տ Օ.

	33.
I Վիճակության ան. տպանովություն-Վերաբերություն	3
II ոռքան գումարների ն. Պարագայություն	5
III ցալություն—ան. Վերաբերություն	13
IV ցալություն ծոռցի գումարներություն	15
V կոչերնույուն ըստ ցալություն-Վերաբերություն	27
VI առջնամեջություն	31



5

ს 365

საყმაფვილო გამოხცევლობა „ჯეჯილი“

ვ0860 № 2.

სერია 1

ბიოგრაფია

ფასი 30 კაპ.

მთავარი საჭყობი.

ტურისი, არტილერიის ქუჩა, № 5

„ჯეჯილის“ ბანა

ტურისი

1924 წ.

